

ჩემი პირადი

მოღონის (პბს-პბს) მედანი, პორტანოვის სახლებში.

ხელის-მომწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში, ძალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисъ ВЪ редакцію газеты „Дრობა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. სალკე ნომერი — ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირარაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და უცხოურს ცუხულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასობით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მოთვრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცილოთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია განსწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა, დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

## საქართველო

### ჩვენი ნაბატონრები და გლეხები

მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას იმ კორრესპონდენციას, რომელიც ჩვენი გაზეთის დღევანდელს ნომერშია დაბეჭდილი. კორრესპონდენტი ისეთს სურათს გვიხატავს ზოგიერთი ქართლელი ნაბატონრებისა და იმათ ნაყმეების ახლანდელს დამოკიდებულებისას, და საზოგადოთ ისეთს საგანს შეეხება, რომელიც მართლა ღირსია ჯეროვანი ყურადღებისა, და არა მარტო საზოგადოების მხრით...

თუმცა კორრესპონდენტი მარტო მართლზე ლაპარაკობს, მაგრამ ყოველივე ესე შეიძლება იმერეთზე, ძახეთზე და საზოგადოთ ჩვენი ქვეყნის ყველა სხვა ნაწილებზედაც ითქვას:

იმ გვარი ნაბატონრები, რომელზედაც კორრესპონტი ლაპარაკობს, არსად არ იქნენ გულ-ჩივილობას; თუ კი მოახერხა, თავის ნაყმეს არასოდეს არ ზოგავს, იმათ შუა ყოველგან ისეთივე საძაგელი დამოკიდებულებაა, როგორც ჩვენი ქართლელი კორრესპონდენტი მართლის შესახებ აგვიწერს.

ერთის იტყვიტ, ახლანდელი ჩვენებური გლეხის უმეცრებას, სიღარიბესა და დაცემას, სხვათა შორის, ორი ეკონომიური ძალა უწყობს ხელს: სოფლის ეპურები, ანუ უკეთ ვთქვათ,

ფულის გამსესხებელნი და ნაბატონრები.

ძალიან კარგათ ვიცით, რომ მარტო ჩვენის სიტყვითა და რჩევით არც ჩვენებური ის ნაბატონარი, რომელზედაც ვამბობთ, შეიქნება თავის მოძმის შემბრალბელი და არც ეპური — გულ-ლომობიერი. ბევრიც რომ ვიყვიროთ, თუ იმ ნაბატონარმა თავის მიწაზე ნახევარი შემოსავლის გამოართმევა მოუხერხა გლეხს, გამოართმევის; რამდენიც გინდა უჩიოთ ფულების გამსესხებელს, თუ კი შიძლოა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ერთს თუმანში სარგებლად ორ, ს-მ, ოთხ თუმანს ან ამის ღირებულ ნამუშავეს გაიძახდივინებს, წლის დამოღეს, გაჭირბეჭდოს გლეხსა.

სანამ გლეხი საკუთარი მამულის პატრონი დამოუკიდებელი მიმამული არ შეიქნება, მანამ ნაბატონრებსა და იმის ნაყმეებს შუა ახლანდელი დამოკიდებულება არ მოისპობა.

სანამ ჩვენებური გლეხის მდგომარეობა ცოტათი მაინც არ გაუმჯობესდება ეკონომიურის მხრითა, სანამ სწავლის ლამპარი მჭრთალ სხივს მაინც არის არ მოჰყენს იმის უმეცრებასა და ბნელ ცხოვრებას, ერთის სიტყვით, სანამ თავის საცხოვრებლად და ყოველ გვარი ხარჯის გადასახდელად იმას ფულის მოპოვების შეძლება არ ექნება, მანამ უნდა იცოდეთ, რომ ჩვენი გლეხი ეპურებისა და ფულების გამსესხებელნი კლანჭებიდამ ვერ განთავისუფლდება.

ამ უნორმალო. შეუსაბამო დამოკიდებულებას გლეხსა და ნაბატონრებს შუა ანუ გლეხსა და ეპურს შუა, რასაკვირველია, ყოველ გერი შკოლები, პურის ძალაზეები, გამსესხებელ-შემნახელი სოფლი: ბანკები და სხვა ამისთანაები, ძალიან, დაეხმარება; მაგრამ ძირიანად ვერ მოსპობს...

ბლენების ცუდი მდგომარეობიდან გამოსწავლა ყველაზე მომეტებული გაეღწევა და ძალა, უეჭველია, მთავრობასა აქვს. მაგრამ თვით საზოგადოებას, განსაკუთრებით დაწინაურებულ და გაათლებულ იმის წევრთა დიდი შემწეობისა და დახმარების მოტანა შეუძლიანთ, თუ კი ის კერძობრივად, რომ გლეხების, მუშა ხალხის მდგომარეობაზე მთელი ხალხის კეთილდღეობაა დამოკიდებული, ცოტაოდნათ მაინც არის ე მისთ.

ს. მესხი.

### დღიური

იანვრის 22 ს. თფილისის საქალაქო მაგისტრატის კრებამ ორი წევრი ამოარჩია უპრავისა; ერთი იმათგანი — უფ. მლიშიჩი, რომელიც ქალაქის მოთავის თანამდებობასაც ასრულებს, როდესაც ეს ავთ ვახანდელია დღეთის მოყვარეობით აღესილმა და მუდამ ცსაკენ თვალების და ხელების მპოტინებელმა თავდაზნაურობამ, თუ რამდენი კეთილი და კაცთ-მოყვარეობითი საქმე ჩაუდგინა იმას თავის ვითომ ძვირფასი სამშობლოსა და მემამულიებისათვის? რამდენი ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოება დაუფუძნებია? რამდენი შკოლა არსებობს იმის შემწეობით? რამდენ ღარიბს შეგიარდს ზრდის ის ჩვენში არსებულ შკოლებში? რამდენს ღარიბს სტუდენტს ინახავს ის უნივერსიტეტში? სად არის, ჩემო მეგობარო, დღევანდელი აზნაურობისაგან საზოგადო ინტერესებისათვის შრომაში მონაწილეობა და ან ამისთანებისკენ მიმზიდველობა? რაში მდგომარეობს დღეს მათგან სამშობლო ენის დაცვა? ნეტავი შემატუბინა მათი ინტერესების დამცველს „ცისკარს“ კი მაინც რითი ეხმარებიან, თუ კი სხვა ქართული გამოცემები იმიტომ არ ზღაწონთ, რომ ისინი მათ მამაპაპურ ენას არ იცვენ. დასასრულს, ჩემო მეგობარო, სად არის დღეს თავდაზნაურობის

დება ან სხვაგან სადმე იქნება, და მეორეც უფ. ხანჯიევი. მესამე წევრის ამოსარჩევათ კიდევ ერთი კრება უნდა ყოფილიყო გუშინ წინ იანვრის 23-ს საქალაქო გამგეობის სეკრეტრათ, რადგან ძველმა უფ. ხითაროვმა უარი სთქვა, ახალი ამოარჩიეს — უფ. მღებრაძე.

თითქმის ყველა ნავ-სადგურ ქალაქებში ისეთი ნაგებია, რომელიც დღევანდელს თავისუფლად და უშიშარად შედის ზღვაში და ისინი ხომალდზე მჯდომ ხალხს და საქონელს დალუპავს. ერთი ამისთანა ნაგი, როგორც ვახ. „ძაყაზი“ გეაცნობებს, შოთშიაც მოუტანიათ და იმისთანა ალაგზე დაუბამთ, საიდანაც რაიმე უბედურების დროს შეუძლიან ხომალდებს დაეხმაროს.

ეს ერთი თვეა, რაც ისმის, რომ აქაური ქართული თეატრის მოყვარენი „ზაყრის“ წარმოდგენას აპირებდნენ; მაგრამ ჯერ არსად სჩანს. მუთაისში კი ამ დროს განმავლობაში ორი წარმოდგენა იყო და როგორც გვეწერენ, კიდევ რამდენსამე წარმოდგენას ამზადებენ. სხვათა შორის, დღეს რომ კვირაა, მუთაისში „ძალათ მქიმი“ უნდა წარმოდგინონ და კიდევ ერთი რაღაც რუსულიდამ ნათარგმნი ვოდველი. შემდეგ კვირას მსტროვის ახალი დრამის — „შრომით ნაშოენი პურის“ — წარმოდგენას ამზადებენ, რომელიც იქვე გადაუ-

ის ძლიერი და ღონიერი მკლავი, რომელიც ერთს დროს სამშობლოს შემგინებელის გამპობელს ხმალს და აშვენებდა!

ეს არის ჩვენი ეხლანდელი თავდაზნაურობის სურათი! ეს არის ეხლანდელი ჩვენი ძველი თაობის მამულის შეილობა!

მაგრამ მივატოვოთ ეს ძველი თაობა და ახალს, ეგრეთ ხსენებულს განათლებულს, სიტყვით მდიდარს და საქმით ღარიბს, შთამამელობას მიეუბრუნდეთ. ამათზე კი რა გვეთქმის, გარდა იმისა, ჩემო მეგობარო, რომ ეს ახალი თაობაც სრულგებობით ღირსნი შეილები არიან იმ ზემო მოყვანილი უღირს ძველი თაობისა, მეტი არაფერი! ნუ თუ ეს თუ გინდა თამამათ ნათქვამი, გამამტყუნებელი სიტყვები, შენთვის რამე გვარის ფაქტებით დამტკიცებას საჭიროებენ?

შენ ისიც უნდა გიკვირდეს, რომ მე ასე ახალ-თაობაზე ვლაპარაკობ! მანა ჩვენში იმისთანა თაობა, რომელსაც მართლა „ახალი თაობა“ ეთქმის, კი არის? დამეთანხმე, რომ თუ ამისთანა კი სადმე მოიძებნება,

## ფელტონი

### სამომავლო სიხარული

წერილი მეგობართან III

მაგრამ ესთქე თ, რომ დღეს არც მონგოლები, არც თათრები, არც სპარსელები და არც ჩვენივე მთიული ხალხები არ გვაწუხებენ; ესთქვათ, რომ გარეშე მტრები აღარ გვყავს, რომელიც მამულის არსება, ან ჩვენი სარწმუნოების შეურაცხყოფა და შეგინება შეეძლოს; ესთქვათ უზრუნველნი ვართ ამ მხრით, მაგრამ დღეს მას შემდეგ, რაც იმავე პოეტის სიტყვებით, ქართველებმა


„თავის თავსა ხმალი იცეს, გულსა მოიხვედრეს ხიშტი!“

მანობ, დღეს შეგვიძლია ჩვენი სამშობლოს სახელოვანი შეილები დავასახელოთ?

იმ ძველი დროს თავდაზნაურობა, ჩემო მეგობარო, რომლებიც შთამომავლობა დღეს ქვეყნიურ განცხრომას, სიტკბობას, და უღარდებლობას ჩადის, ამ უღირსნი

შთამომავლობის წინაპრნი, ვანბობ, იმ ძველს დროს ჩვენი სამშობლოს სახელოვან შეილებათ იტყვებოდნენ; რაც ამ შთამომავლობას დღეს მამულის სასარგებლოდ მიიჩნია, იმათ წინაპართ ეს იმავე მამულის საუბედუროთ მიიჩნდათ; რაც ამ შთამომავლობას დღეს მემამულეს დახმარებათ მიიჩნია, იმათ, წინაპართ ეს მემამულის მტრობათ და ლალატათ მიიჩნდათ. სამშობლო ენა — ძველი იყო, თუ ახალი მაშინ, მაინც სამშობლო ენათ მიიჩნდათ — სარწმუნოებაზე ხელს იღებდნენ და სამშობლო ენას კი არ ღალატობდნენ; გარეგანი შეხედულება თათრის, სპარსის ჰქონდათ, მაგრამ შიგნით გული მაინც ქართველური რჩებოდათ — ქართველისთვის რჩებოდათ, — ქართლისათვის და ქართველისთვის გული ეწოდათ და სხლი უღუღდათ! — და დღეს?

დღეს კი იმათ შთამომავლობა ყოველის მხრით უზრუნველობის სურათს წარმოადგენს. მიჩვენოს, ხელი მიმიტითოს დღე-



თარგმნათ. ამას გარდა შევლიერში კიდევ რამდენიმე წარმოდგენა უნდა იქნესო.

მოდით და ამის შემდეგ ნუ იტყვი, რომ იმერლები ენერგიული და ცოცხალი ხალხი არ არიანო!...

□ „დროების“ მეცხრე ნომერში გამოცხადებული იყო, რომ „შემოსავლიანი ადგილის“ წარმოდგენისაგან შემოსული ფული, 125 მანეთი, მუთაისის ქართული სცენის სასარგებლოდ არისო. ეს ამბავი, როგორც მუთაისიდან გვეჩვენებს, სანახევროთ ყოფილა მართალი: 125 მანეთი კი შემოსულა, მაგრამ ქართული სცენის სასარგებლოდ აქედამ მხოლოდ 60 მანეთი გადაუდგიათ, დანარჩენი 65 მანეთი კი ლარიბი სტუდენტებისთვის ყოფილა დანიშნული.

□ მართი მოქალაქე გვეთხვება, რიგ-ნარისო, რომ ამ ათი-ხუთმეტე წლის წინათ ქალაქში მხოლოდ ერთი (შმიტი) აფთიაქი იყო და ჰყოფნიდა მთელს ქალაქსა და ახლი კი ხუთი აფთიაქია და ამას გარდა რამდენიმე მაღაზია, რომლებშიაც წამლებს ჰყიდიან, და კიდევ მან ვერ ასელია ჩვენს ქალაქსაო! ავთამყოფობა, ღვთის მადლით, ისე შესამჩნევლად არ არის გავრცელებული და მაინცა და მაინც მაგდენათ არც მცხოვრებლებს რიცხვს უმატებია?

ამასთანავე ამბობს, რომ ექიმების რიცხვმაც ამ უკანასკნელ დროს ერთი ათად იმატაო; მაგრამ, საუბედუროდ, ერთი ისეთი ნასწავლი ექიმი არ გამოუჩნდა ჩვენს ქალაქს, რომელმაც მუქთად ან იაფად უაქიმოს ჭირებულ ხალხსაო...

□ მოზღოვის შეძლებულ საზოგადოებას თავის ხარჯით უფასო საქალებო შეკოლა გაუხსნია და, როგორც ერთს გზებში სწვრენ, ამ

მოკლე ხანში ერთის ამბით უკუერთებიათ.

□ როსტოვო-მლადიკაევასის რკინის გზა, როგორც რუსულ გზებში იწერებოდა, სექტემბრის პირველს სრულიად მზათ იქნებოდა. ამ გზის ამშენებელს ბარონ შტენგელს, არ უნდა ნაწილ-ნაწილად რკინის გზის გახსნაო, თორემ შევლებოვოდესკამდი და პიატიგორსკამდი პირველი მისითვისაც იქნება მზათაო.

□ მოსკოვის უწყებებში იწერებოდა, რომ ერთი ჩვენი თანამემამულე — პიო მარლამოვისთვის მოსკოვის ოლქის სასამართლოს სამი დღით სამხედრო საპრობილეში ჩამწყვედვა გადაუწყვეტია ნაფიცი ვეკილის პლევაკას — დუელში გამოთხზაგნისათვის.

**„დროების“ კორექტიონები**  
მართლი, 23 იანვარს.

შემდურებით მოვაჭრებ, ვემდურებით სხვა და სხვა უსამართლოდ მცარცვლებს, მაგრამ ვასაკოცნი არიან ჩვენი ზოგიერთი მამულის პატრონები. ზოგიერთა ჩვენმა მწერლებმა ალტაცებით შეამკეს ის წლები, როდესაც გადავარდა ბატონ-ყოფა. მაგრამ ამას ყველგან ასეთი ნაყოფი არ მოუტანია, როგორსაც მოელოდნენ. მთავრებიდგან და ცხვირიდგან ძაარს აღენენ ზოგიერთს გლეხებს, რომელნიც სდგან უწინდელი ბატონის მამულზედ და რომელთაც ცხვირ წინ უდგიათ ნაბატონარი. უნდა თვალთ ნახოთ და ყურით მოისმინოთ გულის საკლავი კენესა სიღარიბის და მწუხარება ამ გვარი გლეხებისა და მაშინ დარწმუნდებით,

მაშინ იმათი რაცხვის ანუ რაოდენობის ჩამოსათვლელათ, სრულებით საკმაოა ორი წლის ბავშვის არითმეტიკის ცოდნა! აი თუ მართლა, ის ჩვენი ახალგაზდობა, რომელთაც ყურები კალმით აქეთ შემოსილი, თავიანთ თავს „ახალ თაობას“ ეძახიან? სასაცილო ეს არის აი. სასაცილო და არა სასირცხო, რადგან სირცხვილი და სინიღისი იმათ დიდი ხანია იღლით დაქვე!

მართს რასმეზე უნდა მივაქიო შენი ყურადღება, მეგობარო. ჩვენში როგორც იცი, ეს ზემო-მოყვანილი ახალგაზდობა დღეს თავიანთ უმოქმედობაში (უმოქმედობას სამშობლოსა და საზოგადოების ინტერესებისათვის, თორემ თავიანთ პიროვნული ინტერესისათვის ისინი მომქმედებდნენ) თავიანთ უმოქმედობას ვანბობ, იმითი ამართლებენ, რომ ათასი გარემოება და კიდევ ათასი სხვა მიზეზები იმათ ნებას არ აძლევენ. ამათ რომ ჩვენში საზოგადო საქმეების მსვლელობაზე ლაპარაკი ჩამოუდგო, ისე იტყვიან: რა ექნა, ძაო! ლმერთმა

ხომ იცის კეთილი მსურდა და მსურს კიდევ ქვეყნისათვის! ლმერთმა ხომ კი იცის საზოგადო საქმეებში გარევა მინდა და საზოგადოებისათვის შრომა, მაგრამ ისეც ხომ იცი რა მდგომარეობაში ვართ! დიდხანს იტყვიან ამ გვარად. მართს სიტყვით ამ ახალგაზდობას მათი სიტყვებით რასაკვირველია, ყოველ-გვარი დაბრკოლების შემდეგ „მხოლოდ ლუკმა პურისათვის“ ყურები კალმით შემოსილათ და ტანი სხვა და სხვა სამკაულებით... —

აია, ჩვენ იმედ გაწმენდილი უნდა ვიყენეთ აძგვარი ახალგაზდობისაგან! იმ დწყველილს გარეგანი სიმშვენიერებისადმი მიმზიდველობას, საზოგადოებაში წარჩინებული და მაღალი ადგილის დაქერა, მუდამ სიმდიდრის და „სულ ფულის და ფულის“ ქებნას ისეთი რამ თვისებები აქვთ, რომ ძველად გარდუხვევს ან ურს იტყვის იმათზე კაცი, თუ კი განსაკუთრებით ერთხელ მაინც დაადგამისთანა გზას...  
პისათვის ჩვენი ახალგაზდების ხასიათი კი არა, უფრო მტკიცე და

რომ ბატონ-ყოფა თუმცა გადავარდა, მაგრამ მან მიიღო ზოგიერთს მებატონეების ხელში სრულებით სხვა სახე, შეიმოსა სხვა ნაირის სამოსლით.

საწყუხარო ის არის, რომ საცოდავ შე-სისხლიანებს აეწროებენ ის პირნიც, რომელნიც, ღვთის მოწყალებით, არ არიან მოკლებულნი განათლებასა. ეს ვაჭბატონები თვითონ ცხოვრობენ მყუდროდ; არ იწუხებენ თავებს სოფლელი ღარიბ-ლტაკების ცხოვრების წინააწივად. არ იფიქროთ, რომ იმათ გლეხების ვაი-ვაგლახებს იოტის ოდენათაც არის თანაუგრძნონ. რა ენ-დღეებათ, თუ მათი თანამოძვე შრომობს, წლებზედ ფებს იდგავს, დამეს დღეთ ხდის და დღეს დამეთ; ისრე გართულია, ისრე შეგრებილია მისი ცხოვრება მუდამის მუშაობითა, რომ არ იცი: რა დღე თენდება და რა დამე ღამდება.

ი. ძაძულის-პატრონები რომლებზედაც ჩვენ ვამბობთ ამითა იტყვიან თავს: „რა გვინდობება, თავშაუც კობი-ქვა უხლია, როგორც უნდა ისრე იცხოვროს გლეხმა-შე-სისხლიანმა. ჩვენ კი ნურა დავგიშვებდებ: რა, მშვიდობით და უწინდელად ვიცხოვროთ და სხვას ჯანბამდინაც გზა ჰქონდეს!“ თავიანთ ალის ფერ სისხლს ძალიან უფთხილდებიან. მართლათაც, რა ენ-დღეებათ. მონარულები არიან, რომ სიღარიბეში არიან გლეხები. შორიდგან ნიშანს უგებენ და წიხლს აჭირენ, როცა ახლოს შეხედებინ. ზოგი ერთნი, მაგ. უფ. ს.—(უკაცრავად უფ. ს. არ დგემდურათ), ისრე ავიწროებენ გლეხობას, რომ უიმათ დ-უკითხვეთ თავის ვენ-ხის ხლოს ვერ მოჰკრებენ, კარებზედ ქათამს ვერ გამოუშვებენ—მაშინვე ეცემა ხელ-კეტანი ბატონის ბიჭი და მოჰკლავს.

მსენი იკვებებიან, ისკლებენ ჯიბეებს საწყალი ტყავ გძრო-

ხანდისხან გენიოსების ხასიათი არის საჭირო და რადგან გენიოსები ჩვენში ჯერ სიზმრათაც არ მოგვჩვენებია, ამისათვის იმ ჩვენს დღევანდელს ახალგაზდობას ერთს დროს სულ სხვანაირათ მოჰკეკეთ და დღეს კი სულ სხვა გზაზე დამდგართ—უნდა დაულოცოთ ეს გზა... მგზავსთა—მგზავსთა თანა განისვენონ!

ამის მაგიერათ თუმცა სამწყუხაროთ ჩვენს ბოლოს და მოშავალს ერთობ კი ვშორდებით, მაგრამ მაინც უნდა გაეტყდეთ, რომ ჩვენი სრული ყურადღება და იმედი უნდა იყოს მიპრობილი იმ ახალ მოზარდე ახალგაზდობაზე, რომლის წვერი დღეს თუ ხელ—შენი პირველი ვაჟიც შეიქნება... აი, გამოჩენილი და დაუვიწყარი ქვეყელი მოქალაქე რას ამბობდა მე-XVIII საუკუნეში მამის მოულოდნელობაზე:

„მამა, საზოგადოების ახალი წვერის გაჩენით და ამ წვერის საზრდოს მიცემით, ასრულებს მხოლოდ მესამედს თავის მოვალეობისას, რადგან ის ვალდებულია, რომ კაცობრიობას ახალი სახელოვანი წვერი

ბილო შე-სისხლიანის ალალი და პატონანი შრომით... მის მზრობას, ის გაპტყელებულნი ხსნიან და დახვეწი-კურებს აქეთ-იქით ცხენს და მისდის მზა-მზარეული. ამათი დიდი-დიდი შრომა არის: უბრძანებენ ბიჭებს მუშების დაქერას და მოხდობა, რომ მუშაობის დროს დახედონ. მაგრამ ვაი მუშების ბრალი ამათ ხელში: დიდიდგან საღამომდის წ ღში ხუთათ გაღუნული მუშაობენ. სამუშაოს ამ ქალაქს დღეში, როგორც ქართველები იტყვიან, იღებენ ერთ აბაზს. ამასაც ხელში არ აძლევენ. „ხელ“ მოდის თქმა იმათთვის ადვილია. ბევრი „ხელები“ გაივლის და საცოდავ შე-სისხლიანს ცალი ფული არ ეძლევა თვალზედ მისაკრავად. მომეტებულ ნაწილად უფასოდ მისდევენ სამუშაოთ მამულის-პატრონ-ნაბატონარს, მაგალითად მკის დროს და სხე. ბლახები ვერ ასცდებიან ამათ მამულს. „შბანები“: „წამოდი!“ მტო რა ღონე აქვს, უნდა წვიდეს. არ წავა და ნახავს უწარებს. მოუდებს რამე მიზნეს საცოდავს და გაპოუცხადებ: „შენ ე ა და ე დამი-შაეე და ამის გულისათვის მამულები უნდა ჩამოგართვა ან არა და აიყარე!—ნუ იზავ შენს მდღს, ბატონო! შესთხოვს გლეხი. საქე თე-დბა დიდის გარდასახდით გლეხის მხრივ.

მართ მწუხარებაში არიან სწყულები. ირჯები ნ, იფლის ტყუილად ღვრიან; თავიანთ საქმეს და უპირველეს მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას უკან სტოვებენ. შრომას ვინ დასდევს, რომ კუქს იძობდნენ.

შემხვედრია მე ბევრი გლეხთაგანი, რომელთაც შემოუჩრელიათ, რომ ბატონმა ცარიელ პურზედ და ხახვზედ სული ამოგვართვაო. დავიჯეროთ, მკითხველო, ამათ იმდენი

მისცეს, რადგან ის ვალდებულია მისცეს საზოგადოებას საიმედო წვერი და სამშობლოს ვგრეთვე სახელოვანი და საიმედო მოქალაქე აუზარდოს—ყოველი მამა, რომელიც ამ ვალს ვერ იხდეს, დაინაშავეა და ერთი ორად დამნაშავე იქნება, როდესაც ამ ვალს ის მართა ნახევრად იხდის.—იმ ადამიანს, რომელსაც არა აქვს იმედი ეს ვალი ვაღიხადოს, არა აქვს უფლება მამობისა.

ეს რუსსოა სიტყვები შენთვის მიძღვნია, მეგობარო, და შენს ძვირფასს მეგობარს და შენი პირველი ვაჟის დედასაც ეს ჩვენი პოეტის მშვენიერი და მართლაც რომ ჩასაფიქრებელი სიტყვები უთხარაი—ჩემ მაგიერ:

ჰე, მართლის დედა! ძუძუ მართლისა უწინ მამულსა უზრდიდა შეილსა, დედის ნანასთან ქეთინი მთისა მას უმზადებდა მომავალ შეილსა.—

ი. — ი.



ბლობასაო, რომელმანც ეშმაკობით და მძლავრობით ჩაიგდო ხელში მასანიაო.

შეიძლება ეს ხმები ტყუილი იყოს, შეიძლება მსანიაში ამ ქამად ოპოზიციის ჩიხინიც არ იყოს (რასაკვირველია, ღონ-ძარღოსის მომხრეებს გარდა), მაგრამ იმაში კი ყველანი დარწმუნებული არიან, რომ ამნაირად დაფუძნებული მონარხიული მმართველობა და მშვიდობიანობა მსანიაში დიდს ხანს ვერ გაძლებს.

### ქრონიკა

მართობა რომ დაირღვევა, ვერს სამარე გაეთხრება.

ღმიტრი მეფის სიკვდილის შემდეგ იმისი შვილები მიმოიბნიდნენ და ხუტლუშა — ბუღას შემწვობით საქართველოს ტახტზე დაჯდა იმერეთის მეფის დავით ნარინის შვილი მახთანგი მე-II. „მართლის ცხოვრება“ ამ კაცს აქებს, მაგრამ მე იმას ვერ ვერწმუნები. ის რომ ძლიერი ყოფილიყო, უეჭველია, რომ ოსები ისრე არ გათამაშდებოდნენ, რომ მოენდობებინათ მართლის დაპყრობა. ამ მეფეს თუ რაიმე ღირსება ჰქონდა — ეს ის იყო, რომ პატრიონად გაზრდილი კაცი იყო, და ნარინის შვილებში ეს ყველასა სჯობდა ჭკუითაც და გაზრდილობითაც. საღმერთოთა და საკაცობოთა შინა სრული და შემოკლები იყოველ, ამბობს „მართლის ცხოვრება“. ამას ამტკიცებს მისი მოქმედებაცა.

ამ შვილის სიკვდილის შემდეგ ნარინ მეფეს აღარ მოუღონებია. ის ძრიელ მოხუცებული იყო და შვილის სიკვდილის მწუხარებამ სრულიად მოიცივა, ასე რომ იმან მოხუცებულებში დაჰკარგა მშვიდობა და მოკვდა 1292 წელს.

შვიდი არ არის, რომ ამ დროს იქვერეთის მეფეებს რომის პაპები იცნობდნენ. ღიბლომატურა მიწერ მოწერა ამ თში დაიწყო ლაშა ბიორგის დროიდან. რუსუდანი მონგოლებმა რომ შეაწუხეს და მცირეაზიის სელჯუკებმაც შემწვობაში უარი უყვეს, მაშინ რუსუდანმა 1229 წელს რომის

პაპს ბრიგორი მე-IX-ს შემწვობა სთხოვა, მაგრამ პაპამ ბოდიში მოითხოვა, რომ იმას არ შეუძლიან შემწვობის მიცემა; ნაცვლად ჯარისა იმან საქართველოში გამოგზავნა ძმათა ორდენის ბერები და ესენი რუსუდანს ურჩევდნენ, რომ ის ქართველი ხალხითურთ დამორჩილებოდა წმინდა პეტრეს ტახტსა.

ამ დროიდან დაწყებული პაპებისა და საქართველოს მეფეების ურთიერთი შორის ცნობა აღარ შეწყვეტილა. როცა რუსუდანის შვილის შვილი მახთანგი მე II აღმოსავლეთის საქართველოში მეფობდა და ქრისტიანობრივი ხნობა ქართველებში შერყიული იყო, ახლა პაპა ნიკოლოზ მე IV, 1289 წელს, გამოგზავნა მქადაგებელი ბერნი და სტილიობდა საქართველოს ერის გაფრანგებას. ამათ ქადაგებას ჰქონდა წარმატება; მაგრამ ისრეთი არა, როგორცაც მოგლოდა პაპა.

ამ პაპის ბერებს მეფე მახთანგი აძლევდა თუ არა შემწვობას — ეს აქამდე არ არის გამოკვლეული. მაგრამ ამ ბერების მოსვლის ფაქტი ამტკიცებს, რომ იმას არც შემწვობა მიუცია ამ მქადაგებელთათვის, და არც ხალხი დაუბრკოლებია ფრანგული რჯულის მიღებაზე. ნამდვილია მხოლოდ ისა, რომ ამ დროს სამეგრელოს ერთმა წარწინებულმა თავადმა ჩიქვანმა მიიღო ფრანგის რჯული და იმის მაგალითს მიბაძა მრავალმა გლეხსაც.

მაგრამ „მართლის ცხოვრება“ მაინც კარგად უყურებს ამ მეფეს, მაგრამ აღმოსავლეთის თავად-აზნაურობათაგან იმას ყველანი კარგის თვლით არ უყურებდნენ, თუმცა სადღნი მანკაბერდელის შვილმა ხუტლუშამ, რომელმაც ის გაამეფა ღმიტრის სიკვდილის შემდეგ. მახთანგისაგან მიიღო ამირ სპასალარობა; მაგრამ მეფე იმას მაინც არ სწყალობდა. ამისთვის ამ კაცმა, თავის სარგებლობისათვის, ახლა ამ მეფეს დაუწყა მტრობა. თუმცა ნამდვილია, რომ ამას ვერს დააკლებდა, ამისთვის, რომ მეფე მონგოლებსა ყენის სიძე იყო, მაგრამ იმის საქმეებს მაინც ხელს უჭრიდა. ახლა ღმიტრის შვილის, დავითის

გამეფებას სცდილობდა და ამით აწუხებდა. თუმცა დავითი ვერ გამეფდა, მაგრამ მრავალი თავადები აუშალა, დავითისთვის მიაცემინა მართლ-მანეთში რამდენიმე სოფელი, და როცა 1292 წელს ის მოკვდა, იმის შემწვობით მეფობა მიიღო დავითმა. ეს მოხდა 1293 წლის დასაწყისში.

ინგილო ჯანაშვილი

### ნარკვი

მარტო შარშანდელი წლის განმავლობაში, ფრანგულს ენაზე საფრანგეთის სხვა და სხვა ქალაქებში 11,917 წიგნი დაბეჭდილა. მითქმის ნახევარი ამ წიგნებისა გამოსულა პარიზში.

\* \*

ამას წინათ რომ პარიზში ახალი მკერა გახსნეს ეს იცით: ახლა შეიტყეთ, პირველი წარმოდგენის ბილეთები როგორ გყიდულა: ბელეტაჟის ლოჟა 15,000 ფრანკად (თითქმის ხუთი ათას მანეთად) გაუყიდნათ; პირველი იარუსის ლოჟა — 12,000 ფრანკად ღირებულა, გალერეის ადგილები — თითო საჯდომი 300 ფრანკად.

\* \*

ზაჩინალდომ კიდევ ალაპარაკა ქვეყანა. ამის მიზეზი ახლა ის არის, რომ ის იტალიის პარლამენტში სახელმწიფო საქმეებში მოლაპარაკების დროს მონაწილეობის მიღებას აპირებს და ამის გამო რომში მისულა ზოგიერთ იტალიურ გაზეთებში ბარიბალდის ოჯახის მდგომარეობა აწერილი, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ ბარიბალდის პირველი ცოლის-ამერიკელი ანიტასაგან — ოთხი შვილი ჰყოლია: ორი ქალი და ორი ვაჟი — მინოტი და რინიოტი. ეს ცოლი მათცურად მოკვდა იტალიაში 1850 წელს, როდესაც ბარიბალი ერთი დამარცხების შემდეგ მტრებს გაექცა. 1859 წელს 54 წლის ბარიბალდიმ ერთი მილანელი ახალგაზრდა ქალი შეირთო და ქორწინების შემდეგ მეორე დღესვე გაეყარა...

ახლანდელი ცოლი ბარიბალდისა იმის ქალის ძიძა იყო, რომელიც ქაპრერას კუნძულზე მოკვდა იმის გათხოვლს ქალ-ბატონს და ისე მოეწონა ამ სამოცი წლის გამოჩენილ მოხუცებულს, რომ შეირთო. ამ ქალისაგან ბარიბალდის რამდენიმე შილი ჰყვს

\* \*

„მდესის მოამბეში“ ერთი სწორეთ საარაკო ამბავია დაბეჭდილი:

მრი ძმა ქალაღს თამაშობდნენ. მრთს ბედი სწყალობდა და იგებდა, მეორე კი სულ აგებდა. ბოლოს უბედურ მოთამაშეს გული მოუვიდა და ძმას უთხრა, რომ უთუოდ

შენ ეშმაკობ ქალაღში და მიტომ მიგებო. ამან ეს შეურაცხებელ მილო და რაღაც მკვახე სიტყვა უთხრა. შეიქნა ჩხუბი, უბედური მოთამაშე მიუარდა — თურმე უცნოთ თავის ძმას, წაავლო ცხვირზე კბილები და მოაგლიჯა...

ამის თაობაზე, რასაკვირველია, იმწამსვე გამოძიება დანიშნეს, რომელმანც აღმოაჩინა, რომ ამ კაცს კბილით ცხვირების მოგლეჯა ჩვეულებათ ჰქონია, მეხუთე კაცისთვის წაუყვანეთია ეს ადამიანის სახის დამამშვენებელი საყნოსველი იარაღი...

### თფილისის სამაჟურნალო

(4 აპრლის სახსოვრად)

ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდან ვიდრე 1 საათამდე

მ რ შ ა ბ ა თ ს: ექიმი მინკვეჩი — ხირურგიის, პარყნიკი — ყმაწვილების, ქალებისა და ვენერიული ავთმყოფებისათვის, ბარალევი და ლისიცივი — შინაგანი ავთმყოფებისა.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: პარყნიკი — ყმაწვილებისა და ვენერიული ავთმყოფებისათვის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: პარყნიკი ყმაწვილებისა და ვენერიული ავთმყოფებისა. მარკაროვი და ლისიცივი — შინაგანი ავთმყოფებისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: მინკვეჩი — ხირურგიისა, პარყნიკი — ყმაწვილებისა და ვენერ. ავთმყოფ. ლისიცივი — შინაგანი ავთმყოფებისათვის.

შ ა ბ ა თ ს: მარკაროვი და ლისიცივი შინაგანი ავთმყოფებისათვის.

### განცხადება

„დროების კალენდარი“

ქართველებისა, სომხებისა და ფრანგებისათვის შედგენილი და გამოცემული „დროების“ რედაქციისაგან.

ის ყიდება: თფილისში — მართანოვის წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე სხვა ჩვენ ქალაქებში და უეზღებში.

ფ ა ს ი ე ქ ე ს ი შ ა უ რ ი.

რ.ბ.ზა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	საქმის გეგმა	შოშბა	ზირა	მან. კაპ.	მან. კაპ.
თფილისი	8 18	8 17			ა) შოთიდან:	ბ) მფილისიდან:	პეტერბურგი, 12 იანვარს.		თფილისი, 25 იანვარს.
მცხეთა	9 18	10	68	38	მდესისკენ — ხუთშაბ. ს. ღ 6 საათ	საზღვარ გარეთ, მუთისის, რუსეთს	ერთი მანეთი ღირს:		პური შორავლის ფთ.
ბორი	11 39	143	240	123	სტამბოლს — კვირაობით დილას.	— ყველ დღე კვირას გარდა. ზუგდ.	ლონდონში 33 1/2 პენსი.	84	ჭერი ფუთი.
სურამი	1 52	430	392	218	ბ) სოხუმიდან:	ოთხ., მზურგეთს — პარასკ და	პარიზში 349 1/2 სანტიმი.	89	ბამბა მრევისისა, ფუთი.
ბეჟათუბანი	3 45		442	246	შოთს — ოთხშაბათს, ღამით.	შ.ბ. მახეთს — სამშ. და შაბ.	მსკონტი(სარგებლისფასი)	6	— ამერიკისა, ფუთი.
შვირილა	6 49		581	323	მდესას — პარასკევს. გათენებისას	ბ მ უ თ ა ის ი დ ა მ:	ბანკის ბილეთი 5%	97 75	მ პ ი ნ ტ ი ლ ი ბ ა მ ბ ა ფ თ .
მუთისი	7 55		675	375	შოთიდან: I II III	თფილისისა და შოთისკენ — ყო-	მოგებინი(პირველასესხი)	195	მატყელი თუშური ფთ.
სამტრედია	9 2		773	429	სოხუმამდე 4 3 1	ველდღე, კვირას გარდა. მზურ-	მოგებინი (მეორე სესხი)	195	— მარკამისა ფთ.
ახ.-სენაკი	10		857	476	ჭერჩამდე 20 50 15 50 5	გეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს	ბ-რაროს ფურცლები:		აბრეშუმში ნუხური ფრ.
შოთი	11		975	542	ტავანროგ. 34 27 8 60	— ორშაბ.	თფილ. საზნ. ბანკის.		ჭორი, ფუთი.
					მდესს. მდი. 38 30 9 60	გ) ბო რ ი დ ა მ.	ხერსონის ბანკის (5 1/2)	84 50	მანის სანთელი ფუთი.
						ყველგან ყოველ დღე, კვირას	მოსკოვის (5%) . . . . .	8 50	სტეარინის სანთელი, ფ.
						გარდა.	აქციები:		ხორცი ძროხისა, ღიბ.
							მდესის ხავაჭრო ბანკის.	235	— ცხვრისა, ღიბრა . . . . .
							შოთი თფილ რკინ. გზის	133	სპირტი, ვედრო . . . . .
							შავიზღვის ცეცხ. გემების	560	შაქარი, კარგი ფუთი . . . . .
							ქვეყანის და მერკურის.	168	— ფხვნილი ფუთი . . . . .
							პირგ საზღვევ. საზოგ.	665	ქვე გრგვ. ღიბ ფუთი . . . . .
							პეტერბ. საზღვევ. საზ	263	ზოთი ქუნჯუთისა ფთ.
							დაბეჭდილის (სამი მისხალი) . . . . .	10	მკრო 1/2 იმპერიალი . . . . .